№ 213 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. სამშაბათი სექტემბრის 21 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ პარასკევს ენკენისთვის 24 შუდღის 11 საათზე ზემოხსენებულ განყოფილებაში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა დაბეჭდილი პაკეტების დაშვებით

შემდეგ სახელმწიფო გოგირდის აბანოებზე: ყოფ. მურსაკულოვისა 3 წლით, ყოფ. ჩითახოვის 5 წლით, ყოფ. იედიგაროვისა 3 წლით და აბანოზე ეგრეთ წოდებული „გოგილო“ 3 წლით. ვაჭრობა დაიწყება შემდეგ ფასებით: მურსაკულოვის აბანოები 30000 მანეთიდან; ჩითახოვის 15000 მ., იედიგაროვისა 30000 და „გოგილო“ 45000 მანეთიდან. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე საიჯარო განყოფილებაში 12 საათიდან 2 საათამდე.

899 1—1

## მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთველის პროსპექტი № 21 შაბათს, სექტემბრის 25-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის

## ბუფეტების და საკანდიტეროს იჯარით გასაცემათ 1920-21 წლის სეზონისათვის

იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 12 საათამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ ამ თავითვე უნდა წარმოდგენილი იქმნეს ბე.

901 3—1

### ოფიციალური განყოფილება.

## კ ა ნ ო ნ ი

### შრომის ხელშეკრულობისა.

#### 1. კანონის მოქმედების ფარგალი.

მუხ. I.

ამ კანონს ექვემდებარება შრომის ყოველი ხელშეკრულობა, რომლითაც ერთი პირი-დაქირავებული—თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს—დამქირავებელს—განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, ან გარიგებულ სამუშაოს დამთავრებამდი და ვალდებული ხდება დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით—სამუშაო ფასით რომელიც აღირიცხება დროის მიხედვით, ნაჭრობით ან სხვა საშუალებით.

**შენიშვნა:** ამ კანონს არ ექვემდებარებიან; ა) სახელმწიფოსი და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა თანამდებობის პირნი და ადმინისტრაციაში მოსამსახურენი. ბ) ის ხელშეკრულობანი, რომელსაც დასდებენ საზოგადოდ ადმინისტრატიული მოქმედებისათვის დაქირავებულნი; გ) აგრეთვე ის პირნი, რომელნიც საზოგადოების წევრთა განუსაზღვრელ რიცხვს აწვდიან დამოუკიდებელი ხელობის სახედ მათ მიერ შეკავშირებულსა ან პირად შრომას.

#### 2. მშრომელთა დაქირავების წესი.

მუხ. 2.

დამქირავებელი ვალდებულია მიიწვიოს სამუშაოდ დასაქირავებელი ადგილობრივი ქალაქის თვითმმართველობისა ან ერობის ბირჟის შემწეობით, თუ ასეთი ბირჟა არსებობს. თუ ბირჟამ ვერ მოუძებნა დამქირავებელს მომუშავეთა საკმარისი რიცხვი, დამქირავებელს შეუძლია სხვაგან ეძებოს ისინი და ვალდებულია ბირჟას აცნობოს ეს გარემოება.

მუხ. 3.

შრომის ბირჟის გარეშეც შეიძლება დაქირავებულ იქნეს:

ა) სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობათა და მათი კავშირის დაწესებულების მოსამსახურე, ბ) სახელმწიფო და მუნიციპალ წარმოების სპეციალისტი, გ) მუშა-მოსამსახურე ისეთი სახელმწიფო და მუნიციპალი წარმოებისა, რომელიც სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს და დ) ის, ვინც ასრულებს გამგებლობისა, მმართველობისა, კონტროლისა და ქონების შენახვის ცალკე პასუხსაგებელ მოვალეობას, როგორიც არის მაგალითად: ხაზინადარი, კასირი, ათისთავი, ამწონი, მიმღები, პირადი მდივანი და და სხვა ამ გვარი.

მუხ. 4.

დამქირავებელს არ აეკრძალება მიწვევა იმ მუშისა და მოსამსახურისა, რომელიც შრომის ხელშეკრულობის ძალით სხვა დამქირავებელთან მუშაობს, ხოლო ვალდებულია თვითეული ასეთი დაქირავებულის ვინაობა დაუყოვნებლივ აცნობოს შრომის ბირჟას.

მუხ. 5.

დამქირავებელს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს ბირჟაში ჩაწერილთა შორის ის პირი, რომელსაც სურს ძიძად, აღმზრდელად, ყარაულად, დარაჯად, ხელზედ მოსამსახურედ ან მეეზოვეთ დადგომა, ხოლო შრომის დანარჩენი კატეგორიის მუშა-მოსაქმეთა დაქირავება განისაზღვრება წესით, რომელიც შემუშავებული აქვს იმ შრომის ბირჟას, საიდანაც იგი დაქირავებულია.

მუხ. 6.

ყოველი შემთხვევა შრომის ბირჟის გარეშე დაქირავებისა დამქირავებელმა უნდა აცნობოს ადგილობრივს ბირჟას, ხოლო თუ ადგილობრივი არ არის, უახლოესს შრომის ბირჟას

მუხ. 7.

მუშა, რომელმაც ზედიზედ ერთ კვირაზე მეტი იმუშავა, ხელოსანი, რომელმაც ორ კვირას იმუშავა და მოსამსახურე, რომელმაც ერთ თვეზე მეტი იმუშავა დაწესებულებაში მიღებულად ჩაითვლება და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც შემოღებულია წარმოებაში დანარჩენი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

მუხ. 8.

უკეთუ დაქირავებული თავისი ცოდნითა და უნარით ვერ აკმაყოფილებს იმ კატეგორიის სამუშაოს მოთხოვნილებას, რომლისთვისაც დაქირავებულია, დამქირავებელს შეუძლია დაითხოვოს იგი მეშვიდე მუხ. (7 მუხ.) აღნიშნული ვადის გასვლამდე, ხოლო ნამუშევარი დღეებისათვის ხვედრი სამუშაო ხელფასი უნდა მისცეს. თუ ხელფასი დაქირავებისათავე არ იყო განსაზღვრული, მაშინ განსაზღვრავს შრომის ბირჟა ან შრომის სამინისტროს ორგანო.

მუხ. 9.

უკეთუ დამქირავებელი ბოროტად ისარგებლებს მე 8 მუხლში აღნიშნულ უფლებას, შრომის ბირჟას უფლება აქვს აღძრას საქმე შრომის სასამართლოში. უკეთუ შრომის სასამართლო დაინახავს, რომ დაქირავებულის ცოდნა და უნარი დამქირავებელს სამართლიანად არ დაუფასებია, დამქირავებელმა უნდა დააკმაყოფილოს დაქირავებული თანახმად იმ წესებისა, რომელიც დადებულია დაქირავებულთა დასაკმაყოფილებლად შრომის ხელშეკრულობის უკანონოდ დარღვევისათვის. (მუხ. 80).

#### 3. ფორმა შრომის ხელშეკრულებისა.

მუხ. 10.

შრომის ხელშეკრულობის ფორმა გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამ კანონშია (მუხ. 17, 20 და 32) აღნიშნული, დამოკიდებულია პირობის დამდებთა სურვილზე და წერილობითიც შეიძლება იყოს და სიტყვიერიც. სიტყვიერი ხელშეკრულების ყოველი ნაწილი შეიძლება დამტკიცებულ იქნეს მოწმეთა ჩვენებით.

მუხ. 11.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე კოლექტიური.

მუხ. 13.

აკრძალულია ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლის ასრულებაც უნდა დაიწყოს სამ თვეზე უგვიანეს დღიდან მისი დადებისა. ასეთი ხელშეკრულობას ძალა არ ექნება.

მუხ. 13.

შრომის ხელშეკრულობა უნდა დადებულ იქნეს:

ა) განსაზღვრულის ვადით,

ბ) განუსაზღვრელის ვადით, და

გ) რაიმე სამუშაოს ასრულებამდე, რომლის დამთავრებითაც ხელშეკრულობას ძალა დაეკარგება.

#### 4. შრომის ხელშეკრულობის პირობა.

მუხ. 14.

შრომის ხელშეკრულობის ყოველი პირობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. ნამდვილად არ ჩაითვლება ისეთი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის წესებს, მის დამდებთ სასამართლოთი სარგებლობის უბლებას უზღუდავს და აგრეთვე პირობა, რომელიც აუარესებს მშრომელის მდგომარეობას წარმოებაში, შინაური წესრიგისა და შრომისა დამცველი კანონებით დაწესებულ პირობებთან შედარებით.

მუხ. 15.

როცა შრომის ხელშეკრულობის ძალით მუშაობა სწარმოებს არა ხელშეკრულობის დამდებ პირისათვის, არამედ იმ წარმოების ან მეურნეობისათვის, რომელსაც დამქირავებელი ემსახურება, ან როცა წარმოება, სადაც დაქირავებული მუშაობს, შეადგენს მეორე სამრეწველო დაწესებულების ნაწილს ან განყოფილებას, დამქირავებლად ითვლება არა ის, ვინც ხელშეკრულობა დასდო, არამედ ის, ვისთვისაც სწარმოებს მუშაობა. მაგრამ ხელშეკრულობის დამდებიც არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მის მიერ დაქირავებულთა წინაშე. ამ დებულების საწინააღმდეგო შეთანხმება აკრძალულია.

#### 5. კოლექტიური ხელშეკრულობა.

მუხ. 16.

შრომის კოლექტიური ხელშეკრულობა შეიძლება დადებულ იქნეს ერთის მხრით მუშათა და მოსამსახურეთა კავშირსა და მეორის მხრით მრეწველთა ან წარმოების პატრონთა კავშირს შორის, აგრეთვე მრეწველ-პატრონთა და მათთან მომუშავე მუშებს და მოსამსახურეებს შორის, ან იმ უკანასკნელთა რომელსამე ჯგუფთან. კოლექტიურ ხელშეკრულობას სავალდებულო ძალა აქვს მისი დამდები კავშირის ან ჯგუფის ყველა წევრისათვის, თუნდაც ისინი მისი დადების შემდეგ შესულიყვნენ კავშირში.

მუხ. 17.

შრომის კოლექტიური ხელშეკრულობა შეიძლება დადებულ იქნეს მხოლოდ წერილობით. მისი დედანი უნდა წარედგინოს ადგილობრივ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს შრომის დამცველი კანონის წესიერად აღსრულებას. ხელშეკრულობის დამდებთ უფლება აქვთ ამ მოხელისაგან მიიღონ შემოწმებული პირი ხელშეკრულობისა ან მისი ამონაწერი. კოლექტიური ხელშეკრულობის ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის დამცველ კანონებს, უკანონოდ ჩაითვლება, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეაჩერებს ხელშეკრულობის ნუსხაში შეტანას.

მუხ. 18.

კავშირებს ქონებრივი პასუხისგებლობა დაევალება მათის წევრებისა ან ორგანოების მიერ კოლექტიური ხელშეკრულობის დარღვევის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულობაში აღნიშნულია, რომ იმათ ასეთი პასუხისმგებლობა თავს უდვიათ.

#### 6. არტელი ან ჯგუფი.

მუხ. 19.

როცა არტელი ან ჯგუფი დასდებს შრომის ხელშეკრულობას დამქირავებელს არტელის ან ჯგუფის ყოველი წევრის მიმართ ისეთივე უფლება მიენიჭება და მოვალეობა დაედება, როგორიც ექნებოდა თვითეულთან ცალ-ცალკე რომ დაედო ხელშეკრულობა.

ეს წესი უნდა დაცულ იქნეს იმ შემხვევაშიაც, როცა დაქირავებულს უფლება აქვს მიცემული თავისი მხრით დაიქირაოს ხელქვეითები.

მუხ. 20.

შრომის ხელშეკრულობა არტელთან ან ჯგუფთან უნდა დადებულ იქნეს წერილობით და შიგ დასახელებულ იქნეს არტელის ყოველი დაქირავებული წევრი, არტელის მეთაური ან არტელის კანონიერი რწმუნებული, წესი არტელის წევრთა ერთმანეთში ანგარიშისა და დაქირავების პირობები. თუ ვინიცობა ცვლილება რამ მოხდა არტელის დაქირავებულ წევრთა პირად შედგენილობაში, აგრეთვე თუ მისი მეთაური ან არტელის კანონიერი რწმუნებული გამოიცვალა, ეს ამბავი დამქირავებელს უნდა ეცნობოს ერთი კვირის განმავლობაში.

1920 წ. აგვისტოს 14.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე
**გრ. ლორთქიფანიძე.**

## შრომის სამინისტროსაგან

### ცირკულიარულად.

დამფუძნებელ კრების დეკრეტის მეორე მუხლის თანახმად შესახებ დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთა პენსიის შეცვლის ჯამაგირების საშუალო რაოდენობის ცვალებადობასთან შეფარდებით, შრომის სამინისტრო აცხადებს საყოველთაოდ:

1. 1 აგვისტოს 1920 წ. დადგენილია მთელ რესპუბლიკაში ახალი ხელფასის შემუშავებამდე, ქვემოდ მოყვანილი საშუალო ხელფასი მუშა-მოსამსახურეთა პროფესიის და თანამდებობის მიხედვით:

1. ფარმაცევტი 275 მ. 2. მონადეები (არტელშჩიკები) 300 მ. 3. ბუხჰალტერები 335 მ. 4. ამწონნი 230 მ. 5. მტვირთველნი 350 მ. 6. გზის ხელოსნები 250 მ. 7. საწყობის გამგე 275 მ. 8. გამომძრელნი (ზაკროიშჩიკები) 265 მ. 9. ამფეთქებელნი მიწის ქვეშ 250 მ. 10. ამფეთქებელნი მიწის ზევით 220 მ. 11. მოლარენი 280 მ. 12. მოლარე ქალები 220 მ. 13. კალატოზები 280 მ. 14. ტყავზე მომუშავენი 280 მ. 15. კონდუქტორები 250 მ. 16. კანტორის მოხელენი 225 მ. 17. კონტროლიორები 320 მ. 18. კოლოფების მკეთებელნი 225 მ. 19. კოჩეგრები 220 მ. 20.

დამმაგრებელნი (კრეპილშჩიკი) 250 მ. 21. მხურავები 260 მ. 22 მჭედელი 265 მ. 23. მეეტლენი 210 მ. 24. ლიტოგრაფები 285 მ. 25. ნიჩბით მომუშავენი და უკუმგორველები 240 მ. 26. მღებავნი 245 მ. 27. ზეთის გამომხდელნი 230 მ. 28. მაშინისტები სამგზავრო და საბარგოსი 270 მ. 29. საწერ მანქანაზე მომუშავე კაცი 260 მ. 30. საწერ მანქანაზე მომუშავე ქალი 225 მ. 31. მექანიკები (ქმოგხელი) 295 მ. 32. უროს მკვრელნი 240 მ. 33. საპნის გამომხდელნი 235 მ. 34. ასოთ-ამწყობნი 275 მ. 35. ჩამწყობები ლიტოგრაფ. 235 მ. ჩამწყობები სტამბისა 265 მ. 37. ამკინძველნი 265 მ. 38. მბეჭდავები 275 მ. 39. მებუხრეები 240 მ. 40. ხუროები 235 მ. 41. ნოქარნი 225 მ. 42. პროვიზორები 305 მ. 43. მეჩექმეები 310 მ. 44. ზეინკლები 240 მ. 45. წამცხობნი (სმაზჩიკები) 220 მ. 46. ხარისხზე განმანაწილებელნი 210 მ. 47. უფროსი მუშები მალაროში 220 მ. 48. დურგალი 250 მ. 49. დარაჯნი და მეეზოვენი 205 მ. 50. მეისრენი 215 მ. 51. გადამბმელები 225 მ. 52. მოანგარიშენი 260 მ. 53. მეთუთუნენი 225 მ. 54. ტელეგრაფისტები (10 წ. ნამსახურებნი) 240 მ. 55. ხარატიები 280 მ. 56. ფოტოგრაფები 260 მ. 57. შავი მუშები 210 მ. 58. სარაჯები (შორნიკი) 240 მ. 59. კედლის მღებავები 240 მ. 60. ელექტრო-მონტიორები (ელამწყობნი) 255 მ. 61. ელექტრო-ტეხნიკები 260 მ.

**შენიშვნა**: თუ რომელიმე პროფესიის ან თანამდებობის საშუალო ხელფასი არ არის აღნიშნული ზემოდ მოყვანილ სიაში, მის გამოსამუშავებლათ უნდა მიმართონ შრომის სამინისტროს.

2. დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთა პენსიის დანიშვნის დროს, თანახმად საწარმოო შრომის წესდებისა (გამ. 1919 წ.), გზათა უწყების წესდებისა, 1903 წლ. 2 იანვრის კანონისა და სამოქალაქო კანონთა კრებულისა (ტ. 2 ნაწ. 1) წლიური ჯამაგირის გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ფაქტიური დღიური შემოსავალი, მხოლოდ არა ნაკლებ წინა მუხლში ნაჩვენებ საშუალო ხელფასის რაოდენობისა.

3. უმაღლესი საშუალო ხელფასის რაოდენობა, რომლის ზევითაც პენსია არ დაინიშნება (იხ. ცირ. № ) არის 600 მან.

4. ყველა დაარსებული პენსიები დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთა ამა ცირკულიარის გამოცემამდე, უნდა შეიცვალოს თანახმად ამა ცირკულიარის 1 და 2 მუხლისა.

5. ესე ცირკულიარი თანახმად 16 აგვისტოს 1920 წლის დეკრეტისა, სავალდებულოა ყველა იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პირთათვის, ვინც დასახიჩრებულ მუშა მოსამსახურეთ აძლევენ პენსიას თანახმად საწარმოვო შრომის წესდებისა (გამ. 1913 წლ. გზათა უწყების წესდებისა 1903 წ., ივნისის კანონის და 683 და 684 მ. მ. სამოქალაქო კანონთა კრებულისა.

შრომის მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი **ალ. ბახტაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

# სამხედრო მინისტრისაგან.

I

ვბრძანებ: 1) განთავისუფლებულ იქმნას სასწავლო ყრილობაზე გაწვევისაგან ამა თვის ოცში ყველა ის 1896 წელში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც ამა წლის ათ აგვისტომდის სათანადო მხედრიცხვთან გამოცხადდენ და დღეს იმყოფებიან სამხედრო ერთეულებში. 2) ზემოაღნიშნულ კატეგორიის ჯარის კაცნი დათხოვნილ იქმნან იმავე წეს-რიგით, რაც მიღებული იყო 1994 და 1895 წლებში დაბადებულთა დათხოვნის დროს. 3) ყრილობისაგან განთავისუფლებულ ჯარის კაცთა სრული სახელობითი სია დაუყონებლივ გადაეგზავნოს სათანადო მხედრიცხვთ. 4) იმ ჯარის კაცთა დათხოვნის შესახებ, რომელნიც გამოცხადდენ მხედრიცხვთან ათ აგვისტოს შემდეგ ჩემ მიერ გამოცემულ იქნება განსაკუთრებული ბრძანება. 5) ყველა ის სათადარიგო ჯარისკაცნი, დაბადებულნი 1896 წელში, ვინც სხვა და სხვა მიზეზების გამო ჯერ არ ყოფილა სასწავლო ყრილობაზე უსათუოდ უნდა გაგზავნილიყვნენ ჯარის ერთეულებში განაწილების მიხედვით და არც ერთი მათგანი არ უნდა ასცდეს სასწავლო ყრილობას.

II

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს ზოგიერთ სამხედრო ნაწილებში, მიუხედავათ არსებულ კანონისა (სამხედრო დადგენილებათა კრებული 20 წიგ. 87-103 და 147-156 მუხლები) ასეულების მესანოვაგეები (არტელშჩიკები) კი არ ირჩევიან ასეულის ჯარის კაცებისაგან, არამედ ინიშნებიან უფროსებისაგან. ვინაიდან მესანოვაგე არის ჯარის კაცების წარმომადგენელი, მათი ინტერესების დამცველი და მათ წინაშე მორალურად პასუხის მგებელი, ვბრძანებ: ამიერიდან ყველა ნაწილებში მესანოვაგეები აუცილებლად არჩეულ იქმნენ ასეულების ჯარის კაცებისაგან თანახმად ზემოაღნიშნული კანონისა.

სამხედრო მინისტრი **გ. ლორთქიფანიძე.**

# საქართველო და უკრაინა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ალ. შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა უკრაინის სახალხო კომისართა თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს მოსკოვსკის:

საპასუხოდ თქვენი დეპეშისა მაისის 28 თარიღით № 421 და ივლისის 30 № 72360, სადაც სურვილი იყო გამოთქმული საბჭოთა უკრაინის და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ და დამატებით ჩვენი დეპეშისა 28 ივლისის თარიღით გაგზავნილისა, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ამ დღეებში მოსკოვს გაემგზავრება საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან გერასიმე თომასძე მახარაძე, რომელსაც ევალება მოლაპარაკების გამართვა უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან საზავო შეთანხმების გამოსამუშავებლათ და საქართველო-უკრაინის შორის ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. ჩვენს წარმომადგენელს მახარაძეს დავალებული აქვს აგრეთვე მოსალაპარაკებლად დრო და ადგილის გამორკვევა თქვენთან მოლაპარაკებით.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **გ. ლორთქიფანიძე.**

სექტემბრის 18. 1920 წ.

# ევროპის სოც. დელეგაცია

### დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისართან.

ინგლისელ დელეგატებმა მაკდონალდმა და სნოუდენმა სექტემბრის 18 ინახულეს დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ლიუკი, რომელმაც იმავე დღეს საპასუხო დარბაზობა გაუკეთა დელეგაციის წევრებს. ინგლისის სოციალისტთა წარმომადგენლები დიდხანს ებაასნენ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს. ლიუკმა დელეგაციის წევრები კოჯორში მიიწვია საუზმეზე. საუზმეზე იყო ქ-ნი ვანდერველდე, ბ-ნი ვანდერველდე, მაკდონალდი და სნოუდენი.

### სომეხთა ეროვნულ საბჭოში.

სექტემბრის 18 დელეგაციის წევრები სომეხთა ეროვნულ საბჭოში იყვნენ. გაიმართა სადღესასწაულო სხდომა· სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ტოფჩიანმა. მისასალმებელი სიტყვები შემდეგი ფრაქციის წარმომადგენლებმა უთხრეს: 1) დაშნაკელებისაგან ავეტისიანმა, 2) დამოუკიდებელ ს. დ. ინტერნაციონალისტებისაგან ტერ გაზარიანმა, 3) ს. რ. ბეკზადიანმა, 4) სომეხთა სახალხო პარტიის სახელით აივაზიანმა, 5) საქართველოს ს. დ. პარტიის სომეხთა სექციის სახელით რშტუნმა. ყველა ორატორი ესალმებოდა სტუმრებს, როგორც ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენლებსა და სოციალიზმის მასწავლებლებს.

### ე. ს. დელეგაცია ს. ფ. პარტიაში.

სექტემბრის 18, დელეგაციის წევრებმა თანახმად მიწვევისა ს. ფ. პარტია ინახულეს. პარტიულ ბიუროს პატარა ზალა მორთული იყო ნოხებით, ყვავილებით გირლანდიით, და დროშებით. დელეგაციას ტაშის ცემით მიეგებნენ. პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა უთხრა გ. ლასხიშვილმა. მან სთქვა: პარტია დიდი სიხარულით ეგებება საერთაშორისო მუშათა კლასის დაუღალავ მებრძოლებსა და ხელმძღვანელებსო.

ს. ფ. მუშების სახელით მიესალმა ერტოროტაძე, რომელმაც აღნიშნა: რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების მოხდენის შემდეგ საქართველომ თავისი საკუთარი გზა აირჩიაო. შეეხო ქართველი ხალხის სამი წლის გმირულ ბრძოლას თავის დამოუკიდებლობისათვის და განაგრძო: გადაეცით დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს, რომ ის რაც დღეს ჩვენ გვაქვს სისხლით არის მოპოვებული. ჩვენი დამოუკიდებლობა და რევოლიუციით. მონოპოვარი უფლებები, ჩვენთვის ძვირფასია. გადაეცით ევროპის მუშათა კლასს, რომ საქართველოს მუშათა კლასი მასთან იქნება ბოლომდი სოციალიზმის ბრწყინვალე იდეალებისათვის ბრძოლაში. ს.-ფ. პარტიის ტფილისის კომიტეტის სახელით სიტყვას ეუბნება ს. ჭუმბაძე, რომელსაც უპასუხებს ტომას შოუ. „ძმებო და დებო, მომეცით ნება, რომ ასე გიწოდოთ, ვინაიდან ეს ტერმინი სიტყვა „ამხანაგზე“ უფრო ძვირფასია. მე არ მიკვირს რომ თქვენ აგრე თავგანწირულად გიყვართ თქვენი სამშობლო. გულწრფელად და გულით გელაპარაკებით, რომ ჩვენ შვგვიყვარდა თქვენი მშვენიერი სამშობლო. ჩვენი საქმე არაა თქვენს უთანხმოებაში ჩამორევა. მე ვიცი ერთი, საქართველოს დემოკრატიამ განურჩევლად მიმართულებისა აირჩია სწორი და ერთად ერთი გზა, გზა დაბეჩავებული ხალხთა და მუშათა კლასის განთავისუფლებისა, გზა ბრძოლისა სოციალიზმის იდეების მისაღწევათ. საქართველო დამოუკიდებელია და ის საუკუნოთ უნდა დარჩეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ის ამისი ღირსია და მონობის უღელს აწი აღარ დაიდგამს.

### დელეგაცია პროვინციაში.

სექტემბრის 19 ს სოციალისტური დელეგაცია მცხეთაში მივიდა დილის 7 საათზე მიუხედავათ ცუდი ამინდისა მცხეთიდან დაწყებული დუშეთამდე სოფლებში დროშებით და პურ-მარილით ხვდებოდა ხალხი. სოფელ ნატახტარში დელეგაციას წითელ დროშებით შეხვდა სოფლელები, სალამი უძღვნეს ადგილობრივ ორგანიზაციის სახელით. ქალაქი დუშეთი წინა დღით მომზადებულიყო სტუმრების შესახვედრათ და სრულ ათ საათზე, როცა გამოჩნდა შარა გზაზე შვიდი ყვავილებით მორთული ავტომობილი ხალხმა იგრიალა: ვაშა. დელეგაციას შეხვდა ერობის გამგეობა სოციალ-დემოკრატიული სამაზრო კომიტეტი, დუშეთის მარქსისტ ქალთა ორგანიზაცია, სახალხო გვარდია, სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია და მთელი ქალაქის მცხოვრებნი. ხალხი წითელი დროშებით რკალათ შემოერტყენ სტუმრებს და სიხარულის ნიშნათ მოაწყვეს სოფლური ცეკვა-თამაში. მთელი დღე წვიმს. მთები ნისლით არის დაფარული. მიუხედავათ ამისა დელეგაცია დიდის ინტერესით ათვალიერებს მიდამოებს და ეცნობა ადგილობრივ მდგომარეობას. სრულ თერთმეტ საათზე დელეგაცია საერთო ალტაცებაში და ვაშის ძახილით გაემგზავრა ანანურისაკენ.

# საბჭოთა რუსეთში.

### ბოლშევიკების ამნისტია.

საბჭოთა მთავრობამ მოწოდებით მიჰმართა გენერალ ვრანგელის არმიის ოფიცრებს, რომ თუ ისინი დაჰყრიან იარაღს და ბოლშევიკების წინააღმდეგ აღარ გამოვლენ ყველა ოფიცრებს მიენიჭებათ ამნისტია.

### არეულობა პეტროგრადში.

პეტროგრადში კიდევ არეულობა მოხდა. დახოცეს რამდენიმე საბჭოთა მთავრობის კომისრები. აღელვებული ხალხი ქუჩაში დადის და მცხოვრებლებს განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, მოუწოდებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

### მატარებელი „წითელი აღმოსავლეთი“.

თურქესტანში კვლავ გაგზავნეს სააგიტაციოდ მომზადებული მატარებელი ზედ წარწერით: „წითელი აღმოსავლეთი“. ბოლშევიკები მაინც არა სცხრებიან და ძალათ უნდათ მოახვიონ ხალხს თავიანთი ცრუ მოძღვრება.

### პარტიზანული მოძრაობა ყუბანში.

გენერალ ვრანგელის დესანტის მარცხის მიუხედავად ყუბანში პარტიზანელთა მოძრაობა თანდათან იზრდება· ყუბანელები ბოლშევიკების რეპრესიებმა მცხოვრებლები მიიყვანა იქამდის, რომ აღარავის აღარ არჩევენ. რაც წინ დახვდებათ ყველაფერს ანადგურებენ.

### ქართველების დევნა

საქართველოს კონსულის პაიჭაძეს ცნობით დონის და ყუბანის ოლქებში და აგრეთვე სტავროპოლის გუბერნიაში ქართველ მცხოვრებელთ საბჭოთა ხელისუფალნი დიდ შევიწროებას აყენებენ. მაგალითად ქართველების ბინებს რეკვიზიციას უკეთებენ, აიძულებენ სამუშაოზე გაყვანას და სხვას. ამის გამო კონსულმა პაიჭაძემ თხოვნით მიჰმართა გარეშე საქმეთა მინისტრს რათა მან მიიღოს ზომები ქართველების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩრდილო-კავკასიაში.

### სავაჭრო დამოკიდებულება.

„პრავდას“ ცნობით ლოიდ-ჯორჯის თაოსნობით ლონდონში შემუშავებულ იქმნა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შემდეგი პროექტი. ის ფინანსიური ჯგუფები, რომლებიც შეუთანხმდებიან საბჭოთა დელეგაციას გაერთიანდებიან სინდიკატში, რომელიც იქნება ინგლისის მთავრობის არაოფიციალურ კონტროლის ქვეშ. სინდიკატსა და ბოლშევიკების შორის უნდა შეიქმნეს განსაკუთრებული ბუფერი საზოგადოება მორგანის საბანკო სახლის მზგავსი. ამ ფირმას ინგლისის ბანკები მუშაობის დასაწყებად 50 მილ. გირვანქა სტერლინგის კრედიტს გაუხსნის.

„იზვესტია“ აქვეყნებს სამხედრო წესების განმახორციელებელ კოლლეგიის მოწოდებას მცხოვრებლისადმი, მოწოდებაში სწერია: პოლონელთა ჯაშუშები და საბჭოთა რუსეთის მტრები, აფეთქებენ საწყობებს, სწვავენ რკინის გზებს, ვაგონებს, ზამთრისთვის მომარაგებულ შეშას და მით აყენებენ უზომო ზარალსა და უბედურებას რუსეთს. ამ დანაშაულობას ხელს უწყობს სამხედრო ქონებათა სათანადო დაუცველობა, რომლის დაუცველობისათვის ამიერიდან პასუხს აგებს არა მარტო ადმინისტრაცია, არამედ მის ახლო მცხოვრებნი მოქალაქეებიც.

„პრავდა“—ასე ასურათებს რუსეთის ალექსანდროვის უმთავრეს რკინის გზის სახელოსნოს: „ეს სახელოსნო განთქმულია თავის საბოტაჟითა და მენშევიკური შემადგენლობით, მათი სურვილია, ცოტა იმუშავონ და მეტი დრო მიტინგობაზე დახარჯონ.

# წითელ აზერბეიჯანში.

### აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობაზე ინციდენტი.

ბაქოში, აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობაზე მოხდა დიდი ინციდენტი. ინციდენტი დაკავშირებულია ენვერ-ფაშას გამოსვლასთან. როგორც გაზეთები იტყობინებიან ბოლშევიკებს ყოველივე ზომები მიუღიათ, რომ ბაქოს გაზეთები როგორმე საქართველოს ტერიტორიაზე არ გადმოეტანათ და ეს ინციდენტი არ გამოქვეყნებულიყო.

### შახსევანელთა აჯანყება.

ლენქორანში შახსევანელებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ უსურსათობის და საერთო უკმაყოფილების ნიადაგზე ამბოხება მოაწყვეს.

### ამბოხება კუბაში.

5 ენკენისთვეს კუბაში ბოლშევიკების წინააღმდეგ დიდი არეულობა მოხდა, არეულობის ჩასაქრობად ბაქოდან გაგზავნეს ყოფილი მომარაგების კომისარი მუსაბეკოვი.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### საიდუმლო ხელშეკრულება.

სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა საიდუმლო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და ავსტრიის შორის დადებული. ხელშეკრულების ძალით ავსტრიას უნდა დაეცვა ნეიტრალიტეტი და საბჭოთა რუსეთის მტრები თავის ტერიტორიაზე არ უნდა გაეშვა.

### გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-სიმონსი.

„პტი-პარიზიენის“ ცნობით ამ დღეებში გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის ფონ-სიმონსის გადადგომას მოელიან. „ეხო დე პარი“ სწერს: კაშენსა და ფროშარს ლენინის სამოთხიდან დაბრუნებისას უსიამოვნება შეემთხვათ, რის მოგონებასაც ძალიან გაურბიან ფრანგი ბოლშევიკები. კაშენი და ფროსარი შეჩერდა ბერლინში, გერმანიის მუშების გასანათლებლად, მაგრამ გერმანელებმა არამც თუ მოუსმინეს, არამედ კატეგორიულად მოსთხოვეს ჩამსხდარიყვნენ მატარებელში და თავისი გზა განეგრძოთ.

### პოლონეთი და საფრანგეთის დახმარება.

ისპანიის პრესის აზრით საფრანგეთი რომ აქტიურად არ დახმარებოდა პოლონეთს, მიუხედავათ პოლონელთა პატრიოტიზმისა და მამაცობისა, ვარშავა მაინც ბოლშევიკების ხელში იქნებოდაო.

### ხალხთა ლიგა და სპარსეთი.

სტამბოლში მყოფმა სპარსეთის ელჩმა თავის მთავრობიდან წინადადება მიიღო, ხალხთა ლიგაში სპარსეთის წარმომადგენლად შესვლის შესახებ.

### ბოლშევიკებისაგან მოსყიდული გაზეთი.

ინგლისის პრესა ამტკიცებს, რომ გაზეთი „დეილი გერალდი“ ბოლშევიკებისაგან მოსყიდულიაო. გაზეთის რედაქცია ასეთი ბრალდების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს და თანაც დასძენს, რომ რედაქციას ბოლშევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების არც ერთი რედაქცია არა აქვს შეძენილი. ამ განცხადებით პრესა კმაყოფილდება და იძლევა კითხვებს ჩიჩერინის კუთვნილ დაჭერილ დეპეშაში რომელ გაზეთსა და ფულების შესახებ იყო ლაპარაკი. იქ აშკარად იყო ნათქვამი. „დეილ გერალდის“ რედაქციისათვის ფულით დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამას გარდა გაზეთის რედაქციას ლიტვინოვმა 12000 გირვანქა სტერლინგი გამოუგზავნა. „დეილი ტელეგრაფის“ რედაქცია აცხადებს, რომ ბოლშევიკებისაგან „დეილი გერალდის“ რედაქციამ მიიღო უკანასკნელ ხუთი კვირის განმავლობაში 13000 გირვანქა სტერლინგი. ფული რედაქციას როტშტეინმა გადასცა. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ „დეილი გერალდმა“ დაიწყო იმპერიალისტების წინააღმდეგ გალაშქრება და იქამდი მივიდა. რომ საფრანგეთს ევროპის გაცოფებული ძაღლი უწოდა.

# შინაგ. საქმ. სამინისტროში.

**მორიგ გაწვევათა შესახებ.**

შინ. საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქალაქების თვითმართველობებს და აფხაზეთის კომისარიატს შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა: თანახმად გენერალური შტაბის მიმდინარე წლის 10 სექტემბრის № 3699 მოხ. 4661 თარიღით მომართვისა, გატყობინებთ ცნობისათვის და მოქალაქეთათვის გამოსაცხადებლად, რომ ყოველივე ახალ გაწვეული მორიგი გასაწვევი უნდა გამოცხადდეს იმ სამხედრო აღრიცხვის ნაწილში, სადაც ის შეტანილია გამწვევ სიებში. მხოლოდ თუ რომელიმე ახალ გაწვეული მორიგი გაწვევის დროს მოისურვებს გამოეცხადოს არა იმ სამხედრო ნაწილის უფროსს, სადაც ის შეტანილია გამწვევ სიებში, არამედ დროებითი საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, ამ შემთხვევაში ახალ გაწვეულმა უნდა წარუდგინოს იმ სამხედრო ნაწილის უფროსს, რომელსაც მას სურს გამოეცხადოს ამონაწერი გამწვევ სიებიდან არა უგვიანეს 1 ნოემბრისა და მორიგი გაწვევის დროს სამხედრო აღრიცხვის ნაწილს უნდა წარუდგინოს პირადობითი მოწმობა თავისი სურათით.

# სახ. განათ. სამინისტროში

**მუსიკალური განათლება.**

სახალხო განათლების სამინისტრომ კონსერვატორიის დირექტორს ჩერეპნინს მიმართა წინადადებით შეადგინოს თავისივე თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია მუსიკალურ სასწავლებლების წესდებისა, სასწავლო გეგმისა, პროგრამისა და შტატების პროექტის დასამუშავებლად. კომისიაში უნდა მოიწვიონ შემდეგი პირები: ფალიაშვილი, არაყიშვილი, ჩემოდანოვი და სხვა.

**„დედა-ენის“ შესახებ.**

სახალხო სამინისტრო გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ზოგიერთი დაინტერესებული წიგნის გამომცემლები ავრცელებენ ხმებს, თითქოს სამინისტრომ არ მოიწონა გოგებაშვილის, დედა-ენის არც პირველი და არც მეორე წიგნი. სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

**მომღერალ ძაგნიაშვილის კონცერტები.**

ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობამ სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ერთი სამგზავრო ვაგონის დათმობის შესახებ, რათა გამოჩენილ გურიის მომღერალს ძაგნიაშვილს და მოცეკვავეს ლომინაძეს შეძლება ექნეთ იმოგზაურონ და გამართონ კონცერტები. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა გზათა მიმოსვლის სამინისტროს გადასცა.

# ახალი ამბები

✦ **კახეთის რკინის გზის მოქმედება.** რკინის გზათა კონტროლმა დაამუშავა ცნობები კახეთის რკინის გზით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის და წმინდა შემოსავლის შესახებ. თანახმად ამ ცნობებისა 1919 წ. განმავლობაში აღნიშნული გზით უმოგზაურია 666.400 კაცს, სამხედრო ტარიფით კი 18 ათას პირს. მიმდინარე წლის განმავლობაში შემოსულა 23.202.473 მან.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის საქართველოში.** ნოვოსტრელიცის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას გულრიპშის განყოფილება დაერქვა.

✦ **გერმანელთა გადმოსახლება საქართველოში.** სავაჭრო-სამრეწველო პალატამ თავის დროზე განიხილა მიუნხენელთა ჯგუფის შუამდგომლობა საქართველოში გადმოსახლების შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაადგინა: სთხოვოს ფინანსთა მინისტრს ამ საკითხის გამო მოიწვიოს საუწყებათაშორისო თათბირი.

✦ **ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსმა ვ. მიქაძემ ყველა თავის ხელქვეით დაწესებულებებს აცნობა, რომ მთავრობის დადგენილება ფუფუნების საგნების უცხოეთიდან შემოტანის აკრძალვის შესახებ სექტემბრის 4 ძალაში შედისო.

# ვალიუტის მოწესრიგების საქმე

მთავრობამ სექტემბრის 11, მოისმინა რა სახელმწიფო ბანკის მიერ შემუშავებული პროექტი სავალდებულო დადგენილებით ვალიუტის საქმის მოსაწესრიგებლად, დაადგინა დაამტკიცოს შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი: 1) აეკრძალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებას და პირს უცხო ვალიუტით სესხის გაცემა. საზღვარ გარეთიდან ფოსტით გადმოგზავნილი ფულის და აკრედიტივის გამოტანა უნდა ხდებოდეს ადგილობრივ ფულის ნიშნებით დღის კურსის მიხედვით, 2) აეკრძალოს ყველა დაწესებულებას და პირს მიიღოს უცხო ვალიუტით რესპუბლიკის ფარგლებში ყოველგვარი მართებული გადასახადი, 3) აეკრძალოს ყველა დაწესებულებას და პირს გარეშე სახელმწიფო ბანკისა და იმ საკრედიტო დაწესებულებების, რომლებსაც დართული ექნებათ ნება უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოებისა, აწარმოონ რაიმე ოპერაცია უცხო ვალიუტით. საგანგებო თათბირმა უნდა გამოაცხადოს სია იმ საკრედიტო დაწესებულებათა, რომლებსაც უფლება ექნებათ აწარმოონ სავალიუტო ოპერაციები, 4) აიკრძალოს უცხო ვალიუტის გატანა, და გადაგზავნა საზღვარ გარედ განსაზღვრულ ნორმის ზევით, რომელსაც სახელმწიფო ბანკი დააწესებს. გამონაკლისს რუსეთის საკრედიტო ბილეთები შეადგენს, 5) ყველა დაწესებულებამ, და პირმა რომელიც ვალიუტის ოპერაციას საჭიროებს, უნდა მიმართოს სახელმწიფო ბანკს ან და სათანადო საკრედიტო დაწესებულებას, და ამ რიგად ოპერაცია ურთიერთ შეთანხმებით უნდა მოახდინოს, 6) ვალიუტის სახელმწიფო ბანკზე ან სათანადო საკრედიტო დაწესებულებაზე მიყიდვა უნდა სწარმოებდეს თავისუფლად, ყიდვა კი ან სესხის უცხო ვალიუტით მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იქნება დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ სავაჭრო-სამრეწველო მიზნისათვის არის საჭირო უცხო ვალიუტა, 7) თუ რაიმე დაბრკოლება აღმოჩნდა, მისი გადაწყვეტა სახელმწიფო ბანკს უნდა მიენდოს, 8) ყველა დაწესებულებამ და პირმა, რომელსაც აქვს მიმდინარე ოპერაციები და ვალდებულებანი, ორი კვირის განმავლობაში უნდა განუცხადოს ამის შესახებ სახელმწიფო ბანკს, რათა ამ რიგად გამოინახოს ზომები სალიკვიდაციო დროის განსაზღვრისათვის, 9) ამ სავალდებულო დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად სახელმწიფო ბანკს ცალკე ინსტრუქციების გამოცემის უფლება ეძლევა, 10) იგი, ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს ფულით ჯარიმის შეუცვლელად 6 თვით იქნება ჩასმული ციხეში. დამნაშავეს ჩამოერთმევა აღმოჩენილი უცხო ვალიუტა და სახელმწიფო ბანკს გადაეცემა, 11) აღნიშნული სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდგან მისი გამოცხადებისა.

# სახელმწიფო შემოსავალი.

თანახმად ფინანსთა სამინისტროში რესპუბლიკის 14 ხაზინიდან მოსულ ცნობებისა 1919 წლ. ივნისის პირველიდან 1920 წლის ივნისის პირველამდე სახელმწიფო ხაზინაში გადასახადით სახით 490. 319. 204 მან. შემოსულა. ამ თანხიდან პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა 85.554.417 მან. არა პირდაპირი გადასახადის სახით 363.874.119 მან. და საბაჟო გადასახადის სახით კი 40.890.188 მან; უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფო გადასახადის შემოსავალი ყოველ თვეობით თანდათან იზრდება. 1919 წლის ივნისში დაახლოვებით 13 მილ. მანეთი შემოვიდა. სამი თვის შემდეგ 22 მილ. მან. ნახევარი წლის შემდეგ კი 45 მილ. მან. და ბოლოს საბიუჯეტო წლის დამლევს ესე იგი 1820 წლის მაისში სახელმწიფო გადასახადის სახით შემოსულა 90.731.363 მან; საბაჟო გადასახადის შემოსავალი საბიუჯეტო წლის პირველ თვეში უდრიდა 817.288. მან. შემდეგ საბაჟო გადასახადის შემოსავალი თებერვლამდის ქანაობს 2 მილ. მან. ახლო. თვეში შემდეგ იზრდება და მაისში 11.253.324 მან. მიაღწია, ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულია ზომები პირდაპირისა და არა პირდაპირ გადასახადების შორის წონასწორობის დასამყარებლად.

# სომხეთში

**სომხების მობილიზაცია ადერბეიჯანში.**

თანახმად ბაქოში სექტემბრის სამს გამოცემულ № მე 53 ბრძანებისა ყველა სომეხი 18 წლიდან 40 წლამდე ვალდებულია გამოცხადდეს მოწმობების შესამოწმებლად. ყველა მოქალაქე 18—22 წლამდე ვალდებულია გამოცხადდეს სამობილიზაციო მიმღებ კომისიის განკარგულებაში. ის პირები რომლებიც ამ ბრძანებას არ შეასრულებენ, რევ. ტრიბ. მიერ გადაეცემა სასამართლოს ისე, როგორც საბჭოთა ადერბეიჯანის მტრებიის პირები კი რომლებიც ჯარში გასაწვევს პირებს დამალავენ დაისჯებიან როგორც რესპუბლიკის მტრების დამალველნი. ბრძანებას სომხების მობილიზაციის შესახებ სამხედრო კომისარი მირონოვი აწერს ხელს.

საქართველოში მყოფმა სომხეთის წარმომადგენელმა ბეკზადიანმა ამ ბრძანების გამო ადერბეიჯანის გარეშე საქმეთა კომისარს ჰუსეინოვს პროტესტი გადასცა.

# საქართველო-რუსეთს შორის რკინის გზით მიმოსვლა.

გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა კანონ-პროექტი საქართველო—რუსეთს შორის რკინის გზით მიმოსვლის შესახებ. ამ პროექტის ძალით საქართველო—რუსეთს შორის აქსტაფის სადგურით პირდაპირი მატარებლები ივლის. ვაგონებს ურთიერთ შეთანხმებით გადაცვლიან. თუ ერთი მხარე დიდად დავალიანდება ვაგონებით და ან დიდი ხნით არ დააბრუნებს ვაგონებს, მაშინ მეორე მხარეს უფლება ეძლევა მიმოსვლის შეწყვეტისა. მგზავრთა და ტვირთის გადასატანად ივლის ყოველ დღე და ან პერიოდულად სამგზავრო მატარებლები ან საბარგო. ორთქლმავალებისა და მოსამსახურეთა შეცვლა სად. აქსტაფაში მოხდება. საჭიროებისდამიხედვით წესდება სატრანზიტო და სამარშრუტო საბარგო მატარებლების მიმოსვლა. გზების გასაერთიანებლად, გაცვლის მოსაწყობად და გზებისთვის ბილეთების დასამზადებლად არსდება ტფილისში საერთაშორისო რკინის გზის ბიურო, რომელშიც თვითეული მხარის ორი წარმომადგენელი შევა. ბიუროს თავმჯდომარე ინიშნება ურთიერთ მთავრობათა შეთანხმებით. სამგზავრო ბილეთებს მგზავრს თვითეული მხარე მხოლოდ თავის საზღვრამდი აძლევს. ბარგის კვიტანცია და სხვა ქაღალდები რუსულსა და ქართულ ენაზე იქნება დაწერილი. ყოველ საკითხს, რომელიც ახლად აღიძრება, ბიურო სწყვეტს და თუ ვერ შეთანხმდენ მაშინ მას საარბიტრო კომისიას გადასცემენ.

# ერობა

**სიღნაღის სამაზრო ერობაში.**

სიღნაღის სამაზრო ერობამ დამფუძნებელ კრების თვითმართველობათა კომისიას, შინაგან საქმეთა მინისტრს, ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, დამფუძნებელ კრების წევრთ: ს. გ. ახმეტელაშვილს და კ. ი. ანდრონიკაშვილს შემდეგი მოხსენება წარუდგინა:

სამაზრო ერობამ სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ დამფუძნებელი კრების თვითმართველობათა კომისიაში წარდგენილ პროექტში საქართველოს ტერიტორიის ახალი ადმინისტრატიული ერთეულებათ დაყოფვის შესახებ, სხვათა შორის ყოფილა სიღნაღის მაზრასთან ს. ს. ჩაილურის, კაკაბეთის, ველისციხის, ზეგანის, მუკუზნის, ჭერემის გამოყოფის და სხვა მაზრასთან შეერთების შესახებ (პირველი ორისა ტფილისის მაზრასთან და დანარჩენი ოთხისა თელავის მაზრასთან). სამაზრო ერობამ კიდევ ამა წლის 12/1 № 7 თელავის სამაზრო ერობის 12 სექტემბრის 1919 წ. № 1829 შუამდგომლობაზედ ველისციხის უკანასკნელთან შეერთების შესახებ გაუგზავნა საწინააღმდეგო ახსნა-განმარტება დამფუძნებელ კრების თვითმართველობათა კომისიას, მაგრამ ერობამ დღევანდლამდის არ იცის არავითარი პასუხი.

ამ არა სასურველ ამბის გამო სამაზრო ერობის გამგეობა განმარტავს შემდეგს; კაკაბეთის თემი, რომელშიც შედის ს. ჩაილურიც, რა მხრივ გინდათ არ ავილოთ არ ავილოთ ახლო სდგას სიღნაღის მაზრასთან ვიდრე ტფილისის მაზრასთან. ეს სოფელი (კაკაბეთი) ითვლება ცენტრად მთელ ქოდალის რაიონისა. ხსენებულში არიან საერობო სამკურნალო, აფთიაქი, სამოსწავლო წლიდან იხსნება პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და განზრახულია სხვა მაგვარი კულტურულ დაწესებულებათა გახსნა. ყველა ეს ჩამოთვლილი დაწესებულებანი ემსახურებიან და ასულდგმულებენ მთელს ქოდალოს რაიონს რომლის ჩამოშორებით ექვს გარეშეა მოელის დაღუპვა მთელს რაიონს და მეორეც უმთავრესი ხალხის ნებაყოფლობის წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმა. კაკაბეთის თემი დაშორებულია ამჟამად ადმინისტრატიულ ცენტრს, სიღნაღს 30 ვერსით, მხოლოდ ტფილისს 80 ვერსით. ჯერ ერთი ამით შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი, ამ რაიონის მცხოვრებლების დაღუპვაა და არა გაბედნიერება-აშენება.

ს. ს. ველისციხე, მუკუზანი და ზეგაანი შესაძლოა, კახეთის რკინის გზით რომ მარტო სიარული ავილოთ ახლო სდგას ქ. თელავთან ვიდრე ქ. სიღნაღთან, მაგრამ მით სრულებით არ უნდა ითქვას, რომ დანარჩენ შემთხვევაში დაკავშირებულია თელავთან. ველისციხე და დანარჩენი სოფლები ავილოთ თუნდა ეტნოგრაფიულად, კულტურულად, ეკონომიურად თუ პოლიტიკურად არ არის სრულიად დაკავშირებული თელავთან და მათ აქვთ კავშირი სიღნაღთან და შემდეგ ქ. ტფილისთან. ეს იმიტომ, რომ ველისციხე არის ძლიერ შეძლებული სოფელი და მთელ ოპერაციას აწარმოებს ცენტრთან და სიღნაღის მაზრასთან, რაიც შეიძლება დამტკიცდეს არა უბრალო მიმოწერით, არამედ ფაქტებით. სოფ. ველისციხე ითვლება ცენტრათ მთელ გურჯაანის რაიონისა, აღნიშნულში არის მოხდენილი კონცენტრაცია მთელ დაწესებულებათა, არსებობს სახალხო ბანკი, რომელიც მაზრაში ერთ გაძლიერებულ ბანკად ითვლება და რომელიც განსაკუთრებულ ნდობით არის აღჭურვილი ცენტრში საფინანსო დაწესებულებებისაგან, და რომლის წევრებიც შესდგებიან უმთავრესად ჩუმლაყ-ახაშნის მცხოვრებლებისაგან. არსებობს მუნიციპალური აფთიაქი, კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირი (წევრები არიან სულ სიღნაღის მაზრისანი), პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და სხვა დაწესებულებათა მონაწილენი. ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებათა დაარსებაში მიუძღვით უმთავრესად ღვაწლი ს. ს. ჩუმლაყს, ახალშენს მუკუზანს და თვით ველისციხეს და ექვს გარეშეა, რომ უკანასკნელის ჩამოშორებით აღნიშნული დაწესებულებანი დარჩებიან იქვე, რაიც ყოველ მხრივ საგრძნობლად დასცემს თითქმის მთელს გურჯაანის რაიონს და კერძოთ დედა-მიწასთან გაასწორებს ჩუმლაყს, ახალშენს და სხვა მახლობელ სოფლებსაც და თამამად უნდა ვსთქვათ, რომ უეჭველად მოსალოდნელია ყველა სოფლების ამხედრება და მუდმივი უთანხმოება ველისციხის საზოგადოებისადმი.

შესაძლოა, რომ დამფუძნებელი კრების თვითმართველობათა კომისიამ მიაქციოს ყურადღება ფიქტიურ ველისციხის საბჭოს 1919 წ. 3 სექტემბრის დადგენილებას, სადაც დაესწრო არა კანონიერი რიცხვი, (ამის შესახებ ერობას მოეპოება უტყუარი ცნობები) მაგრამ ეს დადგენილება იყო არა ხალხის საკეთილდღეოთ, არამედ ხალხის საბოროტოდ გამოგონილი. როდესაც ამ მდგომარეობამ წარსულ 1919 წ. მოახწია სამაზრო ერობამდე, იგი იძულებული გახდა გასცნობოდა სინამდვილეს (რადგანაც იმ დროს თემის გამგეობა შესდგებოდა არა საიმედო ელემენტებისაგან) ადგილობრივ და გამოირკვია, რომ 3 სექტემბერს 1919 წ. დადგენილება გამოტანილი ყოფილიყო არა ხალხის სურვილისამებრ, არამედ იმ დროს არსებულ განსაკუთრებულ შოვინისტურ ჯგუფის მეოხებით, რომელიც აწარმოებდა იმ დროს აგრეთვე ანტი-სახელმწიფოებრივ მოქმედებას. ამ მდგომარეობას გაეცნო რა აგრეთვე სამაზრო თემთა წარმომადგენელთა დასამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობა 30/10—4/11 1819 წ. და მიიღო რა მხედველობაში, რომ ველისციხის გამოყოფვის საკითხი არ სცოდნიათ სრულიად მკვიდრ მცხოვრებთ და ასეთი უწარმოებიათ მხოლოდ ამ მიზნით განსაკუთრებულად დაარსებულ ჯგუფებს, გამოსთქვა დიდი პროტესტი და დაავალა სამაზრო ერობას შემოვიდეს თელავის სამაზრო ერო-

ბის შუამდგომლობის საწინააღმდეგო ახსნა-განმარტებით მთავრობის წინაშე, რათა ველისციხის თემი (ამაში შედის მუკუზან-ზეგაანი) არავითარ შემთხვევაში არ იქმნეს სიღნაღის მაზრას ჩამოშორებული და შეერთებული თელავის მაზრასთან.

ვარდა ამისა თვითმართველობათა კომისია კეთილ ინებებს და დაინახავს თანდართულ ველისციხის საბჭოს ამა წლის 12 აგვისტოს და ამავე თემის გამგეობის 20 აგვისტოს № 1025 მომართვების ასლებიდან, რომ თემი მთელი არსებით წინააღმდეგია, რომ ჩამოშორებულ იქმნეს სიღნაღის მაზრას, რასაც უეჭველია უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. რაც შეეხება სოფ. ჰერემს (კაკაბეთის სათემოშია) ამაზედ ახსნა-განმარტება ერობას ზედმეტად მიაჩნია, ვინაიდან მისი ყოფნა თუ იქნება სადმე, უნდა იყოს სიღნაღის მაზრასთან და არა სხვა რომელიმე მაზრასთან.

დასასრულ ყველა ამისა სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა გამოსთქვამს სრულს იმედს, რომ როგორც თვითმართველობათა კომისია ისე რესპუბლიკის მმართველი ორგანო, დამფუძნებელი კრება, როგორც ხალხვეს ეს მდგომარეობა ადგილობრივ სამაზრო ერობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხის ნებაყოფლობის გამომხატველი დაემყარება რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრატიულ ერთეულებად დაყოფის დროს ხალხის მიერ გამოთქმულ სურვილებს და არ გამოიტანს მის, დემოკრატიის საწინააღმდეგო დადგენილებას.

გამგეობა უკიდურეს შემთხვევაში სთხოვს თვითმართველობათა კომისიას, რომ გამოირ-

# ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელ დეპეშებისა**

17 სექტემბრისა.

კოჯორიდან—ფრეზეს; მცხეთიდან—დადეშკელიანს; ახალქალაქიდან—გადჟაევს; თელავიდან—ალექსეევისას; ბათუმიდან—კუდასსოზზეს; ართვინიდან—პავლინისას; გაგრიდან—ტარახანოვს; ფოთიდან—დუაპატორიას; ერევნიდან—ოლანეზოვისას; ანაგიდან—გიაშვილს; ფოთიდან—ტონიანცს; სამტრედიიდან—დატაბევოვს; თელავიდან—ობერმანს; სიღნაღიდან—მაზაროვს; ეკატერინოვკიდან—ჩხიკვაძეს; ყაზბეგიდან—ნარბერტოვიჩს; ქუთაისიდან—წერეთელს; ბათუმიდან—კამბარს; ერევნიდან—ბალდასარიანცს; ბათუმიდან—ზადივიანცს.

# ცნობები

**გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა შესახებ ქ. ტფილისში**

**8—14 სექტემბრამდე 1920 წ.**

| | | ტიფი | | | დიფტერიტი | წითელა | | ქუნთრუშა | დიზენტერია | ხოლერა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუცლის | შებრუნებითი | ყვავილი | | | | | | | |
| სტამბოლის ქალაქის პირველ საავადმყოფოში. | იყო 8 სექტემბერს | 15 | 5 | 4 | 1 | — | — | 1 | 1 | 21 | 48 |
| | მიღებულ იქმნენ | 8 | 4 | 1 | 1 | — | — | — | — | 7 | 21 |
| | გამოეწერა | 3 | 2 | — | 1 | — | — | — | — | 4 | 10 |
| | გარდაიცვალა | — | — | — | — | — | — | — | — | 6 | 6 |
| | რჩებიან 15 სექტემბრ. | 20 | 7 | 5 | 1 | — | — | 1 | 1 | 18 | 53 |
| ტფ. 1 საგუბერნ. საბჟრობილის საავადმყოფოში | | — | 4 | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| წამლობენ სახლში | | 1 | — | — | — | 1 | — | — | — | — | — |
| აღნუსხულია სულ ავადმყოფი | | 9 | 8 | 1 | 1 | 1 | — | — | — | 7 | 27 |

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი **მეუნარგია.**

## განცხადებანი

მარიამ ბეჟანის ასული ბიძინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი გაუქმებულად ჩაითვალოს.
577 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალ. მილიციის სამმართველოდან სიმონ ანდრიას ძე მაღლაკელიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2740 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მირგუსეინ მირმამედ-ოღლის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2741 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანტონი თედორეს ძე კაჭარავამ შემოიტანა განაცხადა, რომ მისი ცოლი ალექსანდრა პავლეს ასული კაჭარავა რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 ნოემბერს 1914 წელს უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა პავლეს ასულისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2749 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან და ფულის კვიტანციები მიღებული საბარგო ეტლების ბიუროდან გეურქ დარბოს ძე დარჩიის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2737 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 109 ნუსხა; მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან დიმიტრი დარისპანის ძე ცქიტიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს
2742 3—3

დაიკარგა № 18 მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფ. ებრაელთა რავვინისგან ლევ იაკოფის ძე შნაიდერის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2721 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მიხეილ დიმიტრის ძე წვერავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2722 3—3

დაიკარგა მე 5 კლასის მოწმობა მიღებული გორის ვაჟთა გიმნაზიიდან 29 იანვარს 1920 წ. № 30. ევგენია ნიკოლოზის ასული ყულიჯანოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2724 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი მიღებული ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიიდან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან გრიგოლ ჭივანეს ძე წკეპლაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2729 3—3

დაიკარგა დროებითი სამსახურის ნუსხა მიღებული ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გერასიმე კონსტანტინეს ძე კოხრეიძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2730 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 422, მიღებული ყოფილ მე 7ვიდე საპოლიციო უბნიდან გიორგი გიორგის ძე გოგიაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2745 3—3

დაიკარგა მეტრიკული № 2193. მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნვერსიტეტის კანცელარიიდან ანნა ალექსანდრეს ასულის ავალიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2758 3—2

კვირას 19-ს სექტემბერს არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ავეჯის გაყიდვისა ყოფილი „ფრასკატისა“ სასადილოსი ძმათა საფაროვებისა სახელმწიფო და სხვა ვალების შეუტანლობის გამო. ვაჭრობა დაიწყობა დილის 9 საათზედ რუსთაველის პროსპექტზე № 11. 893 2—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული სომხეთის წარმომადგენლიდან ტფილისში და მეტრიკული ამონაწერი სოფ. ბაიკარის სურფ ფირგიჩის ეკლესიის მღვდლისგან რუბენ გაბრიელის ძე ბაგრატუნის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2743 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 697. მიღებული ეკატერინოსლავის რავვინისგან 1917 წ. 1 ივლისს ისააკ მარკის ძე შვარცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2750 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული კინჩხის საზოგადოების კომისრისაგან, პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურის ნუსხა ბიქტორ ივანეს ძე გახოკიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2760 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო ბეგრის უფროსისგან № 5080, ალექსანდრე შალვას ძე ნიკოლაიშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2764 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოწმობა მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისგან 24 მაის 1920 წ. იუდელ ხიიმის ძე მანიევიჩის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს,
2769 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 298, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან აქვსენტი იაკოფის ძე დიმიტრიევის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2770 3—2

დაიკარგა ტფილისის I კერძო ლომბარდის ბილეთი № 88560, 2150 მან. ღირებულების გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2773 3—2

დაიკარგა მოწმობა და ატესტატი მიღებული ტფილისის რეალურ სასწავლებლიდან 1918 წ. ისააკ მარდუხის ძე შვარცის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2775 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 16959, ევდოკია ილიას ასული არონინას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2778 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123, მიღებული ბახვის ერობიდან 31 დეკემბერს 1919 წ. მელქისედეკ ივანეს ძე ბოლქვაძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2783 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ელიშაკ იაკოფის ძე ელიშაკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2796 3—1

დაიკარგა ტვირთის ბარათები №№ 3612 და 3613 თითო 610 ფუთი ნავთის ბაქოდან, ტფილისში გადმოსატანი. იანკელევიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2798 3—1

დაიკარგა ტფ. მილიციის სამმართველოდან მიღებული ტფ. ტრამვაიზე უფასოთ მიმოსვლის ბილეთი და მე-4 უბნის კომისარიატიდან მიღებული პირადობის მოწმობა გაბრიელ მიკირტიჩის ძე მადოიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2787 3—1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტი ეკატერინე სამსონის ასული ქუთათელაძის სახელზე, მიღებული იმავე სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2487 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ალექ ანდროპოლის ქალაქის თვითმართველობიდან ანდრია სარქისის ძე მარკარიანცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს.
2800 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. ქილაქის გამგეობიდან 21 ივნისს 1920 წ. № 2625 გიორგი დავითის ძე ფალავანდიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2795 3—1

დაიკარგა სოც. დახმარების წიგნაკი № 170 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ელენე ექვთიმეს ასულის ფრიდონოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2791 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ზაგლიკის სოფლის მმართველობიდან მიკირტიჩ სარქისის ძე აგიანცის სახელსე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2794 3—1

ქ. ტფილისის მე 9 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ქ. ტფილისში რაჟდენ კანკავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება რაჟდენ ნიკოლოზის ძის კანკავას ქონებაზე 1241 მუხ. სამოქ. კან. ტომ 10 ნაწ. აღნიშნულ ვადაში. 2756 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სპარსეთის მთავრობისგან 1919 წ. ალი-ლუთფულა-ოღლის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2809 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი იაკობის ძე ბურავლიევმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ ნიკოლოზის ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1903 წ. უკვალოდ დაიკარგა 1914 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც დაკარგულ მარიამ ბურავლიოვის მისამართი იცის, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2763 1—1

თიანეთის უბნის სასამართლოს ბოქაული ეკლოვანი იწვევს სოფელ ლიშაში მცხოვრებელის გარდაცვალებული ხვთისო გოძიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხვთისო გოძიშვილის ქონებაზედ სამ. კან. კრებულის 4241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 2802 1—1

თიანეთის უბნის სასამართლოს ბოქაული გელოვანი იწვევს სოფელ ლიშოში მცხოვრებელი გარდაცვალებული თომა კუკელიშვილის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება თომა კუკელიშვილის ქონებაზედ სამ. კან. კრებულის 1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 2801 1—1.

ქ. სოხუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 293 მუხ. სამოქ. სამართლის წარმოების წესდებისა იწვევს ლეონიდ ივანეს ძე პიმინიდს თავის კამერაში ქ. სოხუმში პასუხის საგებად როგორც მოპასუხე, ძიებისა გამო მცხოვრებ ქ. სოხუმში იაკობ ლეონტის ძე ლეონტიევისა მისგნით 8000 მან. ერთის ხელწერილით, დაწერილი 30 ქრისტეშობისთვეს 1918 წელსა ოცდაოთხი ათასი მანეთისა. 2755 1—1

ქუთაისის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ დაიკარგა პასპორტი გაცემული ვასილ თედორეს ძე პოპლევკოს სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2758 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, სარეგისტრსციო ბარათი მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან და ტრამვაის უფასო ბილეთი ბადალ საქუას ძე თანდილიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2812 3—1

დაიკარგა მოწმობა № 2263. შალვა ვლადიმერის ძე ჰანიკაშვილის სახელობაზედ, მოცემული ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სამხედრო განყოფილებიდან. გაუქმებულათ ჩაითთვალოს. 2820 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ბათუმის ქალაქის გამგეობიდან არარ ანტონას ძე ვართანიანცის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2803 3—1